## 2024 წლის მარტის მთავარი გეოპოლიტიკური მოვლენების მიმოხილვა

ანალიტიკური ცენტრი "ჯეოქეისი" გთავაზობთ 2024 წლის მარტში განვითარებული ყველაზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოვლენების მოკლე მიმოხილვას.

### უკრაინის კონფლიქტი

- უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადების თანახმად, აშშ-ს მიერ უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაწევის გადადებამ, გამოიწვია უკრაინის შეიარაღებული ჯარების ეფექტურობის შემცირება, რამაც საშუალება მისცა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს, ხელში ჩაეგდოთ ინიციატივა ბრძოლის ველზე. ზელენსკის განცხადებით, სამხედრო დახმარების მიღებამდე, უკრაინა ვერ განახორციელებს კონტრშეტევას.
- ჯერჯერობით, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატას არ დაუმტკიცებია უკრაინისათვის 60 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის დახმარების პაკეტი, რადგან რესპუბლიკელი კონგრესმენების ნაწილი, პაკეტის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ითხოვს საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას.
- 31 მარტს გახდა ცნობილი, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, 18-დან 30 წლამდე რუსეთის მოქალაქეების ჯარში გაწვევის შესახებ.
- აღსანიშნავია, რომ 20 მარტს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა, რომ რუსეთს, 2024 წელს, შეეძლება ორი ახალი არმიის შექმნა.

## საქართველოს სამეზობლო

- 22 მარტს მოსკოვში „კროკუს სითი ჰოლის“-ის საკონცერტო დარბაზში ტერორისტული აქტი განხორციელდა, რა დროსაც საკონცერტო დარბაზში მყოფ ადამიანებს შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. ბოლო მონაცემებით, დაიღუპა 130-ზე მეტი ადამიანი, ხოლო ასობით ვიზიტორი დაშავდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო „ისლამურმა სახელმწიფო-ხორასანმა“. მოსკოვის სასამართლოში 24 მარტს 4 ადამიანს წაუყენეს ბრალი აღნიშნული შეტევის განხორციელებისათვის, რომლებიც, რუსული მედიის ინფორმაციით, ტაჯიკეთის მოქალაქეები არიან. ასევე, რუსეთში და ტაჯიკეთში დააპატიმრეს სხვა ადამიანებიც, რომლებიც, შესაძლოა, კავშირში იყვნენ 2024 წლის 22 მარტის მოვლენებთან.
- 2024 წლის 1 მარტს, მოსკოვში რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ალექსეი ნავალნის დაკრძალვა გაიმართა, რომელიც 2024 წლის 16 თებერვალს არქტიკის ციხეში გარდაიცვალა.
- აზერბაიჯანი სომხეთისგან საზღვრის დემილიტარიზაციის ფარგლებში 4 სოფლის დათმობას ითხოვს, რაზეც, სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, სომხეთი თანახმაა, რათა მოახდინოს ომის თავიდან არიდება.
- თურქეთში 31 მარტს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა, რომლის შედეგადაც, თურქული ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბევრ მნიშვნელოვან ქალაქში, მათ შორის სტამბოლში და ანკარაში, გაიმარჯვეს.
- ირანმა, ჩინეთმა და რუსეთმა ომანის ყურეში ერთობლივი წვრთნები ჩაატარეს. აღნიშნული წვრთნები დაემთხვა ისრაელი-ჰამასის კონფლიქტსა და წითელი ზღვის კრიზისს.

## ახლო აღმოსავლეთი & ისრაელი-ჰამასის კონფლიქტი

- ირანმა და სირიამ დაადანაშაულეს ისრაელი დამასკოში ირანის საელჩოს კომპლექსის დაბომბვისათვის, რომლის შედეგადაც, მინიმუმ 7 ოფიციალური პირი, მათ შორის ირანის რევოლუციის გუშაგთა ერთ-ერთი მეთაური გარდაიცვალა.
- ისრაელის თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ჰერზი ჰალევიმ ბოდიში მოიხადა მას შემდეგ, რაც ისრაელის საჰაერო თავდასხმამ გაზაში საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის „World Central Kitchen-ის“ 7 დამხმარე მუშაკი მოკლა, მათ შორის ავსტრალიის,

დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის მოქალაქეები. მისი თქმით, საჰაერო თავდასხმა იდენტიფიცირებაში შეცდომამ გამოიწვია.

- გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია გაზაში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მხარდასაჭერად. აღსანიშნავია, რომ აშშ-მ თავი შეიკავა კენჭისყრაში ხმის მიცემისაგან.
- პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია ითხოვს გაეროს მიერ მის აღიარებას. აქამდე, 2011 წელს პალესტინის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ვერ მოიპოვა გაეროს აღიარება, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ.

## აშშ

---

- აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა კოლორადოს შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც, მანამდე დაადგინა, რომ დონალდ ტრამპი ვერ მოახერხებდა შტატის პრაიმერში მონაწილეობას 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმზე თავდასხმაში მისი როლის გამო. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგან, მოსამართლეების აზრით, აშშ-ს კონსტიტუცია არ აძლევს ერთ შტატს უფლებას პრეზიდენტის დისკვალიფიკაცია მოახდინოს.
- აშშ-ს დაზვერვის წარმომადგენლებმა ჩვენებმა მისცეს აშშ-ს კონგრესს, სადაც მათ აღნიშნეს, რომ აშშ-ს უწევს ძალიან მყიფე მსოფლიო წესრიგთან გამკლავება, სადა ჩინეთი, რუსეთი, რეგიონალური ძალები და სხვა არა-სახელმწიფო მოთამაშეები საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო სისტემას და აშშ-ს ლიდერულ პოზიციას.
- ჯო ბაიდენმა ერისადმი ყოველწლიურ მიმართვაში აქცენტი გააკეთა უკრაინისათვის დახმარების აუცილებლობაზე, ასევე მან განაცხადა, რომ ისრაელს აქვს უფლება დაიცვას თავი, მაგრამ უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვა. ასევე, ბაიდენმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს ემიგრაციის გასამკაცრებლად, რომელიც მას უფლებას მისცემს, „ჩაკეტოს საზღვარი“, თუკი აშშ-ს ტერიტორიაზე უკონტროლო რაოდენობის მიგრანტები შემოვლენ.
- 12 მარტს თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას 300 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა (ჯერჯერობით კონგრესში გაჩერებულია 60 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების დახმარების პაკეტი).
- აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა განაცხადეს, რომ ჩინელ ჰაკერებს, რომლებსაც, მათი განცხადებით, ჩინეთის ხელისუფლება უჭერს მხარს, სანქციებს დაუწესებენ.

- აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ანტონი ბლინკენმა ახლო აღმოსავლეთში მე-5 ვიზიტი განახორციელა 2023 წლის ოქტომბრის შემდეგ, რეგიონში მშვიდობის მისაღწევად და ესკალაციის გაღრმავების შესაჩერებლად.
- აშშ-ს წარმომადგენელთა პალატამ ხმა დაუჭირა ჩინური დეველოპერის ByteDance-ს წინააღმდეგ რეგულაციის შემოღებას, რომელიც ჩინურ კომპანიას აიძულებს უარი თქვას ვიდეო-პლატფორმა TikTok-ის საკუთრებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში TikTok ვერ განთავსდება ამერიკულ App Store-ებში. რეგულაციას მხარი დაუჭირა 352-მა კონგრესმენმა, ხოლო 65-მა მის წინააღმდეგ მისცა ხმა.

## ჩინეთი

- 2024 წლის 4 მარტს დაიწყო და 1 კვირა გაგრძელდა ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესი, რომელმაც რამდენიმე პრიორიტეტი დაისახა, როგორებიცაა: თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა 7.2 %-ით, ეკონომიკის გაზრდა 5 % - ით, ახალი ტექნოლოგიების განვითარებაზე აქცენტი და უძრავი ქონების ბაზრის პრობლემების აღმოფხვრა.
- 16 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით პაკისტანში 5 თავდასხმა განხორციელდა თვითმკვლელი ტერორისტების მიერ. აქედან 3 თავდასხმა უკავშირდება ჩინურ ინტერესებს პაკისტანში: პორტს, საზღვაო ბაზას და ჰიდროელექტროსადგურის პროექტს. გარდაცვლილია 5 ჩინელი, 12 სამხედრო და პაკისტანის ერთი მოქალაქე. ჩინეთმა მოუწოდა პაკისტანს, რომ სასწრაფოდ გამოიძიოს მომხდარი.
- ფილიპინების პრეზიდენტმა ფერდინანდ მარკოსმა ფილიპინების მთავრობას დაავალა საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერება, მას შემდეგ, რაც ჩინეთსა და ფილიპინებს შორის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მცირე შეტაკებები მოხდა.
- მალდივებმა ჩინეთთან ხელი მოაწერა შეთანხმებას სამხედრო დახმარების აღმოჩენაზე, რის შედეგადაც მალდივებსა და ინდოეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა. მალდივებში მყოფმა 80-მდე ინდოელმა ჯარისკაცმა ქვეყანა მაისამდე უნდა დატოვოს.

## ევროკავშირი

- 5 მარტს ევროკომისიამ იმსჯელა პროგრამაზე, რომლის მიხედვითაც ბლოკის თავდაცვის ინდუსტრიის გასაძლიერებლად 2025-2027 წლებში 1,5 მილიარდი ევროს მობილიზაცია მოხდება.
- 12 მარტს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომ ევროკავშირმა დაიწყოს მოლაპარაკებები გაწევრიანებაზე ბოსნია-ჰერცოგოვინასთან.
- 13 მარტს ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ 5,5 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის დახმარებაზე უკრაინისათვის.
- ბოლო თვეებია, ფერმერები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში: ფინეთში, საბერძნეთში, პოლონეთში და ირლანდიაში და ასევე, ბრიუსელში, აპროტესტებენ ევროკავშირის გარემოს დაცვით პოლიტიკას და იაფფასიან იმპორტს.
- ევროკავშირმა და ეგვიპტემ შეთანხმებას მიაღწიეს ეკონომიკურ დახმარებაზე 8 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით ეგვიპტესთვის. ამ შეთანხმებით მიხედვით, ეგვიპტე გააუმჯობესებს მიგრაციის კონტროლს.

## მოლდოვა & ცენტრალური აზია

- მოლდოვასა და რუსეთს შორის კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა მას შემდეგ, რაც თებერვლის ბოლოს დნესტრისპირეთის კონგრესმა რუსეთს „პროტექციისათვის“ მიმართა, ხოლო მოლდოვამ რუსი დიპლომატი გააძევა დნესტრისპირეთის საპრეზიდენტო საარჩევნო ყუთების მოწყობის გამო.
- 13-15 მაისს ალმაატაში გაიმართა B5+1 ფორუმი, რომლის საშუალებითაც ხდება აშშ-ს და ცენტრალური აზიის 5 ქვეყნის - ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთს შორის პოლიტიკურ დიალოგის გაღრმავება.

## დანარჩენი მსოფლიო

- ნატოს გენერალური მდივნობისათვის ორი კანდიდატი გამოიკვეთა. ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი მარკ რუტე (რომელსაც, ბოლო მონაცემებით, ესტონეთმა და ლიეტუვამაც დაუჭირეს

მხარი) და რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი. ნატოს ამჟამინდელ გენერალურ მდივანს, იენს სტოლტენბერგს უფლებამოსილება 2024 წლის 1 ოქტომბერს ეწურება. ნატოს გენერალური მდივნის ასარჩევად არ არის დადგენილი კონკრეტული ფორმატი - გადაწყვეტილება მიიღება ალიანსის წევრი ქვეყნების კონსესუსის შედეგად. ჯერჯერობით, მარკ რუტეს არჩევას, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტად უნგრეთი ეწინააღმდეგება.

- „მსოფლიოს მესამე ყველაზე დიდ დემოკრატიას“ - ინდონეზიას ახლად არჩეული პრეზიდენტი ჰყავს - მოქმედი თავდაცვის მინისტრი პრაბოვო სუბიანტო, რომელიც უფლებამოსილების განხორციელებას ოქტომბრიდან დაიწყებს. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მან პირველი ვიზიტი ჩინეთში განახორციელა, სადაც ის სი ძინპინს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პრეზიდენტის, ჯოკო ვიდოდოს შვილი, არჩევნებში სუბიანტოსთან ერთად გამარჯვების შემდეგ, ინდონეზიის ვიცე-პრეზიდენტი იქნება.
- კოლუმბიის მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა არგენტინელი დიპლომატები, მას შემდეგ, რაც არგენტინის პრეზიდენტმა ხავიერ მილეიმ კოლუმბიის პრეზიდენტს გუსტავო პეტროს „მკვლელი“, „ტერორისტი“ და „კომუნისტი“ უწოდა.
- ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პენი ვონგმა ASEAN-ის სპეციალურ სამიტზე მელბურნში განაცხადა, რომ ავსტრალია ASEAN-ის ქვეყნებს, საზღვაო უსაფრთხოების გასაძლიერებლად 64 მილიონ ავსტრალიურ დოლარს გამოუყოფს.